დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2019 წლის 20 დეკემბერი

ქ. დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის საფუძველზე და „ნორმატიული აქტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი" დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის №69 დადგენილება (www.matsne.gov.ge. 25/12/2018 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.169.016419).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნუგზარ პაპიაშვილი**
თავმჯდომარე

დანართი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

თავი I
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტისფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9603.8	2950.2	6653.6	12228.5	5404.1	6824.4	7271,1		7271,1
გადასახადები	3480.3		3480.3	4494.6		4494.6	4781,1		4781,1
გრანტები	3953.1	2950.2	1002.9	5589.1	5404.1	185.0	185,0		185,0

სხვა შემოსავლები	2170.4		2170.4	2144.8		2144.8	2305,0		2305,0
ხარჯები	6396,8		6396,8	7940.7	267.6	7673.1	7633.6		7633.6
შრომის ანაზღაურება	1420.2		1420.2	1503.0		1503.0	1612,8		1612,8
საქონელი და მომსახურება	945.8		945.8	1512.5	267.6	1244.9	817.0		817.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება									
პროცენტი	48.9		48.9	50.0		50.0	30,5		30,5
სუბსიდიები	3613.2		3613.2	4369,3		4369,3	4668,5		4668,5
გრანტები	12.5		12.5	35.0		35.0	35,0		35,0
სოციალური უზრუნველყოფა	328.3		328.3	372.3		372.3	372,3		372,3
სხვა ხარჯები	27.9		27.9	98.0		98.0	97,5		97,5
საოპერაციო სალდო	3207,0	2950.2	256.4	4287.8	5136.5	-848.7	-362.5		-362.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3458.5	2819.0	639.5	6370.4	5092,7	1277.7	575,0		575,0
ზრდა	3501.0	2819.0	682.0	6443.9	5092,7	1351.2	615,0		615,0
კლება	42.5		42.5	73.5		73.5	40,0		40,0
მთლიანი სალდო	-251.9	131.2	-382,7	-2082..6	43.8	-2126.4	-937.5		-937.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	-251.9	131.2	-382,7	-2109.3	43.8	-2153.1	-990.5		-990.5
ზრდა	131.2	131.2							
ვალუტა და დეპოზიტები	131.2	131.2							
კლება	382,7		382,7	2153.1	43,8	2153.1			990.5
ვალუტა და დეპოზიტები	382,7		382,7	2153.1	43,8	2153.1			
ბალანსი									
ვალდებულების ცვლილება				-26.7		-26.7	-53,0		-53,0
კლება				26.7		26.7	53,0		53,0
ბალანსი									

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**9646.3**	**12302.0**	**5404.1**	**6897.9**	**7311,1**		**7311,1**
შემოსავლები	9603.8	12228.5	5404.1	6824.4	7271,1		7271,1
არაფინანსური აქტივების კლება	42.5	73.5		73.5	40,0		40,0
გადასახდელები	9897,8	14411.3	5360.3	9051.0	8301.6		8301.6
ხარჯები	6396,8	7940.7	267.6	7673.1	7633.6		7633.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	3501.0	6443.9	5092.7	1351.2	615,0		615,0
ვალდებულებების კლება		26.7		26.7	53,0		53,0
ნაშთის ცვლილება	-251,9	-2109.3	43.8	-2153.1	-990.5		-990.5

მუხლი 3. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7271,1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9603.8	12228.5	5404.1	6824.4	7271,1		7271,1
გადასახადები	3480.3	4494.6		4494.6	4781,1		4781,1
გრანტები	3953.1	5589.1	5404.1	185.0	185,0		185,0

სხვაშემოსავლები	2170.4	2144.8		2144.8	2305,0		2305,0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	3480.3	4994,6		4494,6	4781,1		4781,1
საშემოსავლო გადასახადი	344.9						
დამატებითი ღირებულების გადასახადი		1384.9		1384.9	1731,1		1731,1
ქონების გადასახადი	3135.4	3109.7		3109.7	3050,0		3050,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	255.9	290.4		290.4	230,0		230,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.8						
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2757.4	2779.3		2779.3	2780,0		2780,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	119.3	40.0		40.0	40,0		40,0
სხვა გადასახადები ქონებაზე							

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 185,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
გრანტები	3953.1	5589.1	185,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი			
ბიუჯეტით გათვალისწინებული	3953.1	5589.1	185,0

ტრანსფერები			
გათანაბრებითი ტრანსფერი	817.9		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	185.0	185.0	185,0
სხვა პროექტები		501.5	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2950.2	4902.6	
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველადი განაწილება	2950.2	4122.4	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		256.0	
გრანტები		524.2	

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2305,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	**2170.4**	**2144.8**	**2305,0**
შემოსავლები საკუთრებიდან	**1802.1**	**1932.8**	**2120,0**
პროცენტები	**139.4**	**150.0**	**100,0**
რენტა	**1662.7**	**1782.8**	**2020,0**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	**1638.6**	**1762.8**	**2000,0**
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	**24.1**	**20.0**	**20,0**
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**196.4**	**77.0**	**70,0**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**151.4**	**50.0**	**50,0**
სანებართვო მოსაკრებელი	**107.3**	**10.0**	**10,0**
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	**0,6**		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	**43.5**	**40.0**	**40,0**
შემოსავლები მომსხურების გაწევიდან	**45.0**	**27.0**	**20,0**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**94.1**	**15.0**	**15,0**

ჯარიმები, სანქციები და საურავები	77.8	120.0	100,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7633.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6396,8	7940,7	267,6	7673,1	7633.6		7633.6
შრომის ანაზღაურება	1420.2	1503.0		1503.0	1612,8		1612,8
საქონელი და მომსახურება	945.8	1512,5	267,6	1244,9	817.0		817.0
პროცენტები	48.9	50.0		50.0	30,5		30,5
სუბსიდიები	3613.2	4369,9		4369,9	4668,5		4668,5
გრანტები	12.5	35.0		35.0	35,0		35,0
სოციალური უზრუნველყოფა	328.3	372.3		372.3	372,3		372,3
სხვა ხარჯები	27.9	98,0		98,0	97,5		97,5

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 575,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 615,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების ზრდა	3501.0	6443,9	615,0

ბ)განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 40,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	42.5	73.5	40,0
ძირითადი აქტივები			

არაწარმოებული აქტივები			
მიწა			

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,043.0	3,518.8	2589.6
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,041.0	3,518.8	2589.6
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,021.3	3,463.8	2534.6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	19.7	55.0	55.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2.0		
7.2	თავდაცვა	97.2	103.0	111,2
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	97.2	103.0	111,2
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	2,582.1	3,611.0	280,0
7.4 5	ტრანსპორტი	2,582.1	3,611.0	280,0
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,582.1	3,611.0	280,0
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-
7.5	გარემოს დაცვა	813.5	1,001.8	765,0
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	813.5	1,001.8	765,0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	916.1	1,230.2	585.0
7.6 1	ბინათმშენებლობა	6.2	0.5	-
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	590.1	408.6	135.0
7.6 4	გარე განათება	115.1	557.1	450.0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	204.7	264.0	-
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	86.8	96.2	95.0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	86.8	96.2	95.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,053.5	1,475.0	1206,5

7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	282.9	628.5	350,0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	673.4	749.5	743.5
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	97.2	97.0	113,0
7.9	განათლება	1,695.3	2,711.0	2000,0
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1,695.3	2,058.5	2000,0
7.9 2	ზოგადი განათლება	-	652.5	-
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	-	652.5	-
7 10	სოციალური დაცვა	610.3	664.3	669.3
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	-	-	-
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	-
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	230.0	240.0	245.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	-	-	-
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	380.3	424.3	424.3
	სულ	9,897.8	14,411.3	8301.6

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 937.5 ათასი ლარის ოდენობით;

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება--990.5 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ლარის ოდენობით.
3. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 990.0 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -53,0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50,0ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი185,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად 73,8 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად 111,2 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები 2019-2023წ.

მუხლი 16. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 00)

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყალმომარაგების, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსება ისე მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცი და ექსპლოატაცია

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019წლის გეგმა	2020წლის პროექტი	2021წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3498,2	4841,2	865,0	865.0	865.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2582.1	3611.0	280,0	280.0	280.0
020101	გზების შეკეთება რეაბილიტაცია	2582,1	3611,0	280,0	280.0	280.0
0202	წყლის სისტემის განვითარება	754,2	526,7	135,0	135.0	135.0
020201	წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	590,1	408,6	135,0	135.0	135.0
02 0203	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა - რეაბილიტაცია	164,1	118,1		118.1	118.1

02 03	გარე განათება	115.1	557.1	450,0	450.0	450.0
020301	გარეგანათების ქსელის ექსპლოატაცია			300,0	300.0	300.0
020302	გარე განათების მოწყობა	115,1	557,1	150,0	150.0	150.0
02 04	შენობების მშენებლობა რეაბილიტაცია	6,2	0,5		0.5	0.5
02 04 03	მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია	6,2	0,5		0.5	0 5
0205	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	40.6	145.9		145.9	145.9

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შესაკეთებელი გზების რეაბილიტაცია. 2020 წელს დაგეგმილია ქ. დედოფლისწყაროში არსებული შიდა გზების ორმოული შეკეთება და მოასფალტება, სოფლებში არსებული ასფალტის საფარიანი გზების რეაბილიტაცია, გრუნტოვანი გზების მოხრეშვა.

ბ) წყლის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის მოწესრიგება, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების შიდა ქსელის რეაბილიტაცია. აგრეთვე სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობებს და ამორტიზებულ წყალმომარაგების სისტემებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში მოწესრიგდება და მოეწყობა საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები.

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და ახალი ქსელის მოწყობა.

დ) შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია

ე) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, აგრეთვე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების იერსახე შელახულია და აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მათი რეაბილიტაცია, დედოფლისწყაროსა და სოფლებში აგრეთვე მთელ რიგ სოფლებში მოხდება მოსაცდელის რეაბილიტაცია და ა.შ.

- ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლების უმრავლესობაში შეიქმნება კეთილმოწყობილი გარემო;

მუხლი 17. დასუფთავება და გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 00)

გარემოს დაცვითი ღონისძიებებიდან დასუფთავების სამუშაოები და ნარჩენების გატანა ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. ეკოლოგიური და სანიტარიული ნორმების დაცვის მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ. დედოფლისწყაროდან და სოფლებიდან:

ზემო მაჩხაანი, არბოშიკი, მირზაანი, ოზაანი, გამარჯვება, ხორნაბუჯი და სამრეკლო, გრაფიკის შესაბამისად, დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება,

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლების უმრავლესობაში შეიქმნება კეთილმოწყობილი გარემო;
- გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობის მდგომარეობა.

მუხლი 18. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელ განათლებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	1695.3	2711.0	2000,0	2100,0	2100,0
04 01	სკოლამდელი განათლება	1695.3	2058.5	2000,0	2100,0	2100,0
04 02	ზოგადი განათლება		652.5			

1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

აღნიშნული პროგრამის შესაბამისად, საბავშვო-ბაგა ბაღებში ხორციელდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება, ზრუნვა ჰიგიენასა და კვებაზე, აღსაზრდელის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 17 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 974 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ფიზიკურად ჯანმრთელი, სრულყოფილი, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მომავალი თაობის აღზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომავალი თაობის მზადყოფნა სკოლაში შესასვლელად.

მუხლი 19. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

(პროგრამული კოდი 05 00)

1. როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. ჩატარდება საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების შენარჩუნებას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმის, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

№	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1053,5	1475,0	1206,5	1158,7	1158,7
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	282,9	628,5	350,0	300,0	300,0
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	268,6	291,0	300,0	300,0	300,0
05 01 01 02	სპორტული დარბაზების/მოედნების შეძენა /მშენებლობა	14,3	337,5	50,0		
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	673,4	749,5	743,5	745,7	745,7
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	578,7	649,5	643,5	643,5	643,5
05 02 02	კულტურული ღონიძიებების ხელშეწყობა	94,7	100,0	100,0	100,0	100,0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	29,2	29,0	45,0	45,0	45,0
05 04	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	68,0	68,0	68,0	68,0	68,0

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. სხვადასხვა ტურნირებზე, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგების გამოსავლენად ხორციელდება მათი ადგილზე შეკრების ჩატარება შესაბამისი პირობების შექმნით.

2020 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება:

- ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭიდაობა სამბოში;
- ძალოსნობა;
- ფეხბურთი;
- კალათბურთი;
- კიკბოქსინგი;
- რაგბი

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სპორტსმენთა მიერ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტული წარმატებებისათვის ხელშეწყობა

ბ.) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსება, ქვეყნის მასშტაბით ფესტივალებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

ბ.ა) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რაიონული საბიბლიოთეკო გაერთიანების, რომელიც მოიცავს ერთ რაიონულ და 13 სასოფლო ბიბლიოთეკას, დაფინანსება. ბიბლიოთეკებში აქტიურად ხდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (მკითხველთა) ინტერესების შესწავლა, ამ მიზნით ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები:

- ლიტერატურული დილა
- მკითხველთა კონფერენცია
- თემატური საღამოები
- წიგნის განხილვა
- თემატური გამოფენები

პროგრამის ფარგლებში მოხდება ისეთი ღონისძიებების დაფინანსება, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის (ანტიკვარული და კულტუროლოგიური) ნივთების დაცვა და მომავალი თაობებისთვის გადაცემა, არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლების აღწერა, რომელთაც მინიჭებული აქვთ ძეგლის სტატუსი, მუზეუმი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს არქეოლოგიურ გათხრებში, რომელთა მიზანია მატერიალური ნაშთების მოკვლევა და მათზე სამეცნიერო ანგარიშების მომზადება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისათვის ისტორიული ძეგლების უკეთ გაცნობის მიზნით მოეწყობა ლექცია-სემინარები, ჩატარდება სამეცნიერო კონფერენციები.

ბ.ბ) კულტურული ღონისძიებები(პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და წახალისებით, მხატვრული კოლექტივების: ქორეოგრაფიული ანსამბლები: „შირაქი“, „ხორნაბუჯი“ და „იმედი“; ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლები: „ქიზიყი“, „მანდილი“ და „ხორნაბუჯი“; თეატრალური კოლექტივი „ბარის ფშავლები“ და ბავშვთა თეატრალური სტუდია „არლეკინო“-ს მონაწილეობით იმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები,რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე მოეწყობა სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობისა და დათვალიერების მიზნით ექსკურსიები, მონაწილეობას მიიღებენ ფესტივალებში, შეიქმნება ახალგაზრდული კლუბები, საჯარო სკოლებში ჩატარდება ლექცია-სემინარები, ჩატარდება შეხვედრები მუნიციპალიტეტის გამოჩენილ

ადამიანებთან, ჩატარდება კონკურსი „წიგნი ჩემი მეგობარია“, „ვინ უკეთ იცნობს საქართველოს“, ზაფხულის განმავლობაში გაიმართება დისკოთეკები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდობის ჩართულობა ქვეყნის აღმშენებლობაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოზარდი თაობისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

(პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გაზეთ „შირაქის“ გამოცემა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს, გაზეთის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მოძიება, მიღება, შექმნა, შენახვა და დამუშავება. თვითმმართველი ორგანო გამოცემის საშუალებით თანამშრომლობს საზოგადოების ფართო ფენებთან-გაზეთის მეშვეობით მოსახლეობის დიდი ნაწილი ეცნობა ბიუჯეტის პროექტს და მონაწილეობს საჯარო განხილვაში, თვითმმართველი ორგანო გაწეული მუშაობის შესახებ გაზეთის ფურცლებიდან აბარებს ანგარიშს ხალხს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- გაზეთი მედიატორის როლს ასრულებს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;
- გაზეთი „შირაქის“ საშუალებით დედოფლისწყაროელები ეცნობიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ობიექტური და გადამოწმებული ინფორმაციის მიღება, გავრცელება.

მუხლი 20. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ორგ.კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტ	2019 გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	697.1	760.5	764,3	782,6	782,6
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	86.8	96.2	95,0	100,0	100,0
06 02	სოციალური პროგრამები	610.3	664.3	669,3	682,6	682,6
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	380.0	423.4	422,0	432,0	432,0
06 02 02	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	230.0	240.0	245,0	250,0	250,0

06 02 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	0.3	0.9	2,3	0,6	0,6

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისთვის მწერების და ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ბ) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ: კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების დაფარვა, გათბობის ხარჯით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- უკიდურესად გაჭირვებული ფენის შემცირებისთვის ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მძიმე სოციალური პირობების გავლენის შემცირება.

ბ.ა) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის პირთა ოჯახების, ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილისა და ინვალიდის ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების დაფარვა ყოველთვიურად 18-22 ლარის ოდენობით;
- სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა 100 ლარის ოდენობით ერთჯერადად;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახის დახმარება, რომლის ორივე მშობელი ან მარტოხელა მშობელი რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 300 ლარის ოდენობით ერთჯერადად;
- სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება არაუმეტეს 500 ლარისა;
- ხანძრით, მიწისძვრით და ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებულები და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს - 60 ლარი (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) ყოველთვიურად, ბინის ქირის დასაფარად;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახი -1000 ლარი ერთჯერადად;
- მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი ან მონაწილე -250 ლარი ერთჯერადად;
- ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქე-100 ლარი ყოველთვიურად;
- აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვან ბავშვთა ოჯახი - 500 (ხუთასი) ლარი ერთჯერადად.
- 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმული მოქალაქე-300 ლარი ერთჯერადად.
- მრავალშვილიანი ოჯახი, რომლებსაც ჰყავს ოთხი ან მეტი შვილი და ოთხი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე) ბავშვი -თითოეულზე 50 ლარი ერთჯერადად.

ბ.ბ) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება(პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 250 ბენეფიციარის ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფა.

ბ.გ) ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 ლარის ოდენობით.

თავი III

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 21. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	9897,8	2819.0	7078,8	14411,3	5360,3	9051,0	8301.6		8301.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	137		137	137		137.0	137		137,0
	ხარჯები	6396,8		6396,8	7940,7	267,6	7673,1	7633.6		7633.6
	შრომის ანაზღაურება	1420,2		1420,2	1503,0		1503,0	1612,8		1612,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3460,4	2818,9	641,5	6443,9	5092,7	1351,2	765,0		765,0
	ვალდებულებების კლება				26,7		26,7	53,0		53,0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2140,2		2140,2	3621,8	425.0	3196,8	2700.8		2700.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	137		137	137		137	137		137
	ხარჯები	2088,4		2088,4	2895,3		2895,3	2532.8		2532.8
	შრომის ანაზღაურება	1420,2		1420,2	1503,0		1503,0	1612,8		1612,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	51,8		51,8	726,5	425,0	301,5	115,0		115,0
	ვალდებულებების კლება				26,7		26,7	53,0		53,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2118,5		2118,5	3566,8	425,0	3141,8	2645.8		2645.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	137		137	137		137	137		137
	ხარჯები	2066,7		2066,7	2840,3		2840,3	2477.8		2477.8
	შრომის ანაზღაურება	1420,2		1420,2	1503,0		1503,0	1612,8		1612,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	51,8		51,8	726,5	425,0	301,5	115,0		115,0
	ვალდებულებების									

	კლება				26,7		26,7	53,0		53,0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	609.0		609.0	718.0		718.0	666,4		666,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	27		27	27		27	27		27
	ხარჯები	596.8		596.8	661.3		661.3	661,4		661,4
	შრომის ანაზღაურება	409.4		409.4	437.0		437.0	437,0		437,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.2		12.2	56.7		56.7	5,0		5,0
	ვალდებულებების კლება									
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1407.4		1407.4	2740,8	425.0	2315,8	1868.2		1868.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	101		101	101		101	101		101
	ხარჯები	1367.8		1367.8	2044,3		2044,3	1705.2		1705.2
	შრომის ანაზღაურება	927.9		927.9	983.0		983.0	1084,6		1084,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	39.6		39.6	669,8	425.0	244,8	110,0		110,0
	ვალდებულების კლება				26,7		26,7	53,0		53,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	97,2		97,2	103,0		103,0	111,2		111,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	9		9	9		9	9		9
	ხარჯები	97.2		97.2	103.0		103.0	111,2		111,2
	შრომის ანაზღაურება	82.9		82.9	83.0		83.0	91,2		91,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
	ხარჯები									
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	21,7		21,7	55,0		55,0	55,0		55,0
	ხარჯებ	21,7		21,7	55,0		55,0	55,0		55,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
01 0201	სარეზერვო ფონდი	19,7		19,7	50,0		50,0	50,0		50,0
	ხარჯები	19,7		19,7	50,0		50,0	50,0		50,0
01 0202	შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები	2,0		2,0	5,0		5,0	5,0		5,0
	ხარჯები	2,0		2,0	5,0		5,0	5,0		5,0
	ინფრასტრუქტურის									

02 00	განვითარება	3498,2	2774,3	723,9	4432,6	4025.8	711,2	865,0		865,0
	ხარჯები	137,4		137,4	489,1	304,4	184,7	415,0		415,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3320,2	2774.3	546,0	4352,1	3721,4	630,7	450,0		450,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2582.1	2138.0	444.1	3611.0	3046.2	564.8	280,0		280,0
	ხარჯები	43.6		43.6	80.0		80.0	80,0		80,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2538.5	2138.0	400.5	3531.0	3046.2	484.8	200,0		200,0
02 01 01	გზების შეკეთება რეაბილიტაცია	2582.1	2138.0	444.1	3611.0	3046.2	564.8	280,0		280,0
	ხარჯები	43.6		43.6	80.0		80.0	80,0		80,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2538.5	2138.0	400.5	3531.0	3046.2	484.8	200,0		200,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	754,2	634,1	120,0	526,7	397,1	129,6	135,0		135,0
	ხარჯები							35,0		35,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	754,2	634,1	120,0	526,7	397,1	129,6	100,0		100,0
02 02 01	წყლის სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია	590.1	505.6	84.5	408.6	304.4	104.2	100,0		100,0
	ხარჯები									
	არაფინანსური აქტივების ზრდა	590.1	505.6	84.5	408.6	304.4	104.2	100,0		100,0
02 02 02	წყლის სისტემების მოვლა პატრონობა							35,0		35,0
	ხარჯები							35,0		35,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
02 02 03	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა ეაბილიტაცია	164,1	128,5	35,6	118,1	92,7	25,4			
	არაფინანსური აქტივების ზრდა	164,1	128,5	35,6	118,1	92,7	25,4			
02 03	გარე განათება	115.1	2.1	113.0	557.1	495.1	62.0	450,0		450,0
	ხარჯები	87.6		87.6				300,0		300,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	27.5	2.1	25.4	557.1	495.1	62.0	150,0		150,0
02 03 01	გარეგანათების ქსელის ექსპლოატაცია							300,0		300,0
	ხარჯები							300,0		300,0
	არაფინანსური									

	აქტივების ზრდა									
02 03 02	გარეგანათების მოწყობა	115.1	2.1	113.0	557,1	495,1	62,0	150,0		150,0
	ხარჯები	87.6		87.6						
	არაფინანსური აქტივების ზრდა	27,5	2,1	25,4	557,1	495,1	62,0	150,0		150,0
0204	შენობების მშენებლობა რეაბილიტაცია	6,2		6,2	0,5		0,5			
	ხარჯები	6,2		6,2	0,5		0,5			
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
0204 03	მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია	6,2		6,2	0,5		0,5			
	ხარჯები	6,2		6,2	0,5		0,5			
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
02 06	კეთილმოწყობა	40,6	0,1	40,5	145,9	87,4	58,5			
	ხარჯები									
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40,6	0,1	40,5	145,9	87,4	58,5			
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	813,5		813,5	1001,8		1001,8	765,0		765,0
	ხარჯები	813,5		813,5	967,1		967,1	765,0		765,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა				32,9		32,9			
03 01	დასუფთავების და ნარჩენების გატანა	564,0		564,0	1000,0		1000,0	721,0		721,0
	ხარჯები	564,0		564,0	967,1		967,1	721,0		721,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა				32,9		32,9			
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა- პატრონობა, განვითარება							44,0		44,0
	ხარჯები							44,0		44,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
03 04	გარემოს დაცვის ღონისძიებები	249,5		249,5	1,8		1,8			
	ხარჯები	249,5		249,5	1,8		1,8			
	არაფინანსური აქტივების ზრდა									

04 00	განათლება	1695.3	44.7	1650.6	2711.0	687,5	2023,5	2000,0		2000,0
	ხარჯები	1627.4		1627.4	2138,5	267,6	1870,9	2000,0		2000,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	67.9	44.7	23.2	572,5	419.9	152,6			
04 01	სკოლამდელი განათლება	1695.3	44.7	1650.6	2058.5	59.9	1998.6	2000,0		2000,0
	ხარჯები	1627.4		1627.4	1870.9		1870.9	2000,0		2000,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	67.9	44.7	23.2	187.6	59.9	127.7	0		
04 01 01	სკოლამდელი განათლება							2000,0		2000,0
	ხარჯები							2000,0		2000,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
04 01 02	სკოლამდელი განათლება (არაფინანსური აქტივი)									
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
04 02	ზოგადი განათლება				652.5	627,6	24,9			
	ხარჯები				267,6	267,6				
	არაფინანსური აქტივების ზრდა				384,9	360.0	24,9			
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1053.5		1053.5	1475,0	222.0	1253,0	1206,5		1206,5
	ხარჯები	1033.8		1033.8	1128,5		1128,5	1156,5		1156,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	19.7		19.7	346,5	222.0	124,5	50,0		50,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	282,9		282,9	628,5	222.0	406,5	350,0		350,0
	ხარჯები	268.6		268.6	286.0		286.0	300,0		300,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14.3		14.3	342,5	222.0	120,5	50,0		50,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	268.6		268.6	286.0		286.0	50,0		50,0
	ხარჯები	268.6		268.6	286.0		286.0	50,0		50,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
05 01 01 02	სპორტული დარბაზების/ მოედნების შენება/ მშენებლობა	14.3		14.3	342,5	222.0	120,5	50,0		50,0

	არაფინანსური აქტივების ზრდა	14.3		14.3	342,5	222.0	120,5	50,0		50,0
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	268,6		268,6	291,0		291,0	300,0		300,0
	ხარჯები	268,6		268,6	286,0		286,0	300,0		300,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა				5,0		5,0			
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	673.4		673.4	749.5		749.5	743,5		743,5
	ხარჯები	669.5		669.5	745.5		745.5	743,5		743,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.9		3.9	4.0		4.0			
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	578.7		578.7	649.5		649.5	643,5		643,5
	ხარჯები	574.8		574.8	645.5		645.5	643,5		643,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.9		3.9	4.0		4.0			
05 02 02	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	94,7		94,7	100,0		100,0	100,0		100,0
	ხარჯები	94,7		94,7	100,0		100,0	100,0		100,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	29,2		29,2	29.0		29.0	45,0		45,0
	ხარჯები	27.7		27.7	29.0		29.0	45,0		45,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,5		1,5						
05 04	ტელერადიო-მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	68,0		68,0	68.0		68.0	68,0		68,0
	ხარჯები	68.0		68.0	68.0		68.0	68,0		68,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა									
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	697.1		697.1	760.5		760.5	764,3		764,3
	ხარჯები	696.3		696.3	759.1		759.1	764,3		764,3
	არაფინანსური აქტივ · ზრდა	0.8		0.8	1.4		1.4			
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	86.8		86.8	96.2		96.2	95.0		95.0

	ხარჯები	86.0		86.0	94.8		94.8	95.0		95.0
	არაფინანსურიაქტივებ. ზრდა	0.8		0.8	1.4		1.4			
06 02	სოციალური პროგრამები	610.3		610.3	664.3		664.3	669.3		669.3
	ხარჯები	610.3		610.3	664.3		664.3	669.3		669.3
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	380,0		380,0	423,4		423,4	422,0		422,0
	ხარჯები	380,0		380,0	423,4		423,4	422,0		422,0
	სუბსიდია	52,0		52,0	52,0		52,0	52,0		52,0
	სოციალური უზრუნველყოფა	328.0		328.0	371.4		371.4	370.0		370.0
06 02 02	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	230.0		230.0	240.0		240.0	245,0		245,0
	ხარჯები	230.0		230.0	240.0		240.0	245,0		245,0
06 02 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	0.3		0.3	0.9		0.9	2.3		2.3
	ხარჯები	0.3		0.3	0.9		0.9	2.3		2.3

თავი IV

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 22

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 23

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 24

2020 წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 25

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 27

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 28

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 04-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2020 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 29

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 30

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 185,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 73,8 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 111,2 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"–ს 69 –ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 31

2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 50.0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.